

# მდინარეებზე წყლის მაქსიმალური ხარჯის განსაზღვრის თანამედროვე მიდგომები

## ნიკა წითელაშვილი

ელ-ფოსტა: [nika.witelashvili@ens.tsu.edu.ge](mailto:nika.witelashvili@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

მდინარეებზე მაქსიმალური ხარჯის ანგარიში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულებისას, როგორებიცაა გზები, ჰესები, ნაპირდამცავი ნაგებობები, ხიდები და ა.შ. დღემდე საქართველოში მაქსიმალური ხარჯის ანგარიშისას, დაკვირვებათა რიგის არასრულყოფილების გამო, ძირითადად გამოიყენება როსტომოვის ფორმულა, რომელიც დამუშავებულია სპეციალურად საქართველოს მდინარეებისათვის გასული საუკუნის 70-იან წლებში. როგორც წესი მასში შემავალი პარამეტრებიდან და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ფორმულით მიღებული მონაცემები საშუალოდ 20-25%-ით მაღალ მაჩვენებლებს ოძლევს.

თანამედროვე მიდგომები, საეცნიერო-ტექნიკური ბაზის განვითარების პარალელურად იცვლება, რის გამოც დღეს მაქსიმალური ხარჯის საანგარიშოდ გამოიყენება მეტად განსხვავებული პროგრამები, მიუხედავად იმისა რომ მათემატიკური ფორმულების დონეზე მათ შორის განსხვავება დიდი არ არის განსხვავებულია შემავალი პარამეტრები და ის ძირითადი ინფორმაცია რომლებიც აუცილებელია მდინარისთვის მაქსიმალური ხარჯის საანგარიშოდ. დღეს ევროპასა და ამერიკაში ფართოდ გამოიყენება კომპიუტერულ პროგრამებსა და სატელიტურ გადაღებებზე დაფუძნებული გათვლები, რომელებიც ასახავენ კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე მიმდინარე პროცესებს, რაც მიღებულ გათვლებს მეტ საიმედოობას სძენს.

ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკურ ეკონომიკური, ცვლილებებიდან გამომდინარე და საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, ნელ-ნელა ძველი საბჭოთა სტანდარტებიდან ახალ ევროპულ სტანდარტებზე გადასვლის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ამიტომ მნიშვნელოვანია გარკვეულ წილად მოხდეს ძველი და ახალი მეთოდების შედარება რაც დაგვეხმარება საქართველოს ტერიტორიისათვის ჰიდროლოგიური გათვლების სანდოობა კიდევ უფრო გაიზარდოს და დაიხვეწოს.